Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

გარემოსდაცვითი დემოკრატია

ადამიანის უფლებები და ვალდებულებები

ორჰუსის კონვენცია

ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

საქართველოს კონსტიტუცია
მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება

INFORMATION PARTICIPATION JUSTICE

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის კონვენცია)

რა არის ორჰუსის კონვენცია?

ORHUS CONVENTION

ORHUSIS CONVENTION, WHICH WAS ADOPTED IN 1998 IN DANIA, ORHUS, IS A SPECIAL INTERNATIONAL DOCUMENT ON ENVIRONMENTAL RIGHTS AND ENSURES THE RIGHT OF PEOPLE TO ENVIRONMENTAL INFORMATION, PUBLIC PARTICIPATION IN DECISION-MAKING AND ACCESS TO JUSTICE.

ORHUSIS KONVENCIA, RROMELIC 1998 WELS DANIIS QALAQ ORHUSSI MIIRGES, GAREMOSDACVITI KONVENCIIBS SHORIS GANSAKUTOREBULI TIPIS DOKUMENTIA DA AYALIBEBS ADAMIANIS GAREMOSDACVITI UFLEBEBZE DAFUZNEBULI MIDGOMAS. KONVENCIIS MIZANIA GAREMOSDACVITI INFORMACIAZE XELMISAWVDOMOBIS DA AM SFEROSHI GADAWYVETILEBIS MIRGEBIS PROCESSHI FARTOO SAZOGADOEBIS CHARTULOBIS GAZRDA.

ORHUSIS KONVENCIIS 3 ZIRITADI PRINCIPIA:

GAREMOSDACVITI INFORMACIAZE XELMISAWVDOMOBA

SAZOGADOEBIS MONAWILEOBA GAREMOSDACVITI SAKITHEBTAN DAKAVSHIREBULI GADAWYVETILEBIS MIRGEBIS PROCESSHI

MARTLMSAJULEBAZE XELMISAWVDOMOBA

GAREMOSDACVITI INFORMACIAZE XELMISAWVDOMOBA

RA ARIS GAREMOSDACVITI INFORMACIA?

- INFORMACIA GAREMOS SEMADGENELI ELEMENTEBIS SESAXEB
- INFORMACIA GAREMOZE MOQMEDI FAKTOREBIS, QMEDEBEBIS, RONISIEBEBIS, SETANXMEBEBIS, POLITIKIS, KANONMDEBLOBIS, GEGMEBIS, PROGRAMEBIS SESAXEB
- INFORMACIA GAREMOS MDGOMAREOBIS GAVLENIS SESAXEB ADAMIANIS JANMRTELOBASA DA USAFRTXOEBAZE

YVELAS AQVS UFLEBA, MOITHOVOS DA MIIRGOS GAREMOSDACVITI INFORMACIA

- GAREMOSDACVITI INFORMACIA SAJAROA, GARDA GAMONAKLISEBISA
- INFORMACIA GAICEMA GANMCXADEBLIS MIERI INTERESIS DASABUTEBIS GARESHE
- INFORMACIA UNDA GAICES DAUYOVNEBLIV

ინფორმაციის გაცემის ვადები

ორჰუსის კონვენციის მიხედვით საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს **30 დღისა**.

ეროვნული კანონმდებლობა ორჰუსის კონვენციასთან შედარებით მკაცრია და ის ინფორმაციაზე პასუხის გაცემის ვადად 10 დღეს აწესებს. შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, იმოქმედოს კანონით დადგენილი ვადების დაცვით და ინფორმაცია გასცეს არაუგვიანეს **10 სამუშაო დღისა.**

უარი გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე

ორჰუსის კონვენცია ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც საჯარო დაწესებულებას უფლება აქვს, უარი თქვას მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე. უარი ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმცხადებელს წერილობით განუმარტოს თავისი უფლებები და გასაჩივრების წესი.

საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში

საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა ხელს უწყობს:

- ინფორმაციის გაცვლას მხარეებს შორის
- ურთიერთშეთანხმების მიღწევას
- ნდობის ფაქტორის ამაღლებას
- უკეთესი გადაწყვეტილების მიღებას

საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია:

- სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა
- საჯარო განხილვებში მონაწილეობა
- ინფორმაციაზე დაყრდნობით საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და არგუმენტირებულად წარდგენა



! საზოგადოების მონაწილეობის პროცესი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე!

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია:

- საზოგადოების ჩართულობა საწყის ეტაპზევე
- საზოგადოების მონაწილეობისთვის გონივრული ვადების დადგენა
- საზოგადოების დროული ინფორმირება
- გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომა
- საზოგადოების მხრიდან კომენტარების წარდგენის შესაძლებლობა
- შესაძლებლობების ფარგლებში, წარდგენილი კომენტარების სათანადოდ გათვალისწინება
- სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საზოგადოებისთვის დაუყოვნებლივ გაცნობა

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

ორჰუსის კონვენცია ადგენს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ დაირღვა:

- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება

თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, ეროვნულ დონეზე უზრუნველყოს აღნიშნული საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.

საზოგადოება, თავის მხრივ, პასუხისმგებელია, დაიცვას საკუთარი გარემომცველი სამყარო. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ თითოეულ მოქალაქეს ავალდებულებს:

- დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები გარემოს დაცვის სფეროში
- გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს
- იზრუნოს გარემოს დაცვაზე
- მოსალოდნელი ან მომხდარი ბუნებრივი და ტექნოგენური ავარიისა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დროულად აცნობოს სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან განაცხადოს საჯაროდ

!

მოითხოვე ინფორმაცია!

მიიღე მონაწილეობა!

იყავი ინფორმირებული შენი გარემოსდაცვითი უფლებების შესახებ!

mepa.gov.ge

eiec.gov.ge

info@eiec.gov.ge

+995 32 2 11 20 23

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. 6

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი